ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები სატრანსპორტო სექტორისთვის

- **მოქალაქეებისთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილება არ არის რეკომენდირებული თუ:**
  - ბოლო 14 დღის განმავლობაში მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა კორონავირუსის მატარებელ პირთან/პირებთან (მათ უნდა გაიარონ თვითიზოლაცია/კარანტინი შესაბამისად დადგენილი წესით);
  - აღენიშნება რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომები (ხველა, ტემპერატურა, ცემინება, სუთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.);
  - მიეკუთვნებია COVID-19-ით დაინფიცირებისა და გართულებების მაღალი რისკის მქონეთა კატეგორიას.
  - ***შენიშვნა - ტრანსპორტირებისას ყველა მგზავრმა უნდა ატაროს პირბადე.***

- **დამსაქმებლის ვალდებულებები:**

  - სამუშაოს დაწყების წინ უნდა გააკონტროლდეს პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობა ტემპერატურის გაზომვით(დისტანციური მზომი ხელსაწყოს მეშვეობით).
  - ავტოსატნარნსპორტო საშუალების შესასვლელში მოეწყოს თერმოსკრინინგის კამერა სკანირებისთვის, რათა გააკონტროლდეს მგზავრთა ჯანმრთელობის მდგომარეობა ტემპერატურის გაზომვით;
  - თანამშრომლები უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით:
    - პირბადე;
    - ხელთათმანი;
    - საჭიროების შემთხვევაში - სახის დამცავი ფარი;
    - სპეციფიკური სამუშაოს შემთხვევაში - სპეც. ტანსაცმელი.
  - სატრანსპორტო საშუალებებში გამოაკარით განცხადებები (არსებობის შემთხვევაში მონიტორებზე) ახალი კორონავირუსის პრევენციული ღონისძიებების შესახებ;
  - ყველა თანამშრომელსა და დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პერსონალს მიაწოდეთ ინფორმაცია შესაბამისი პრევენციული პროცედურების შესახებ, რათა თავიდან იქნეს აცილებული კორონავირუსის გავრცელება სამუშაო გარემოში;
  - უზრუნველყავით თანამშრომელთათვის ხელის სულ მცირე 70% ალკოჰოლის შემცველი ხელის სადეზინფექციო სითხის მიწოდება;
  - მიაწოდეთ ინფორმაცია თანამშრომლებს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებისა და ჰიგიენური საშუალებების სწორად გამოყენებასა და შემდგომში მის შენახვა/მოცილებაზე;
  - თვალსაჩინო ადგილას განათავსეთ ხელის ჰიგიენური საშუალებების სწორად მოხმარების წესები;

- გარკვეული პერიოდულობით (3 საათიანი ინტერვალებით) მოახდინეთ ხშირად გამოყენებული სამუშაო აღჭურვილობისა დეზინფექცია. სატრანსპორტო საშუალების დეზინფექცია/სანიტარული დამუშავება ასევე უნდა განხორციელდეს ყოველი დღის ბოლოს.
  - მოაწყვეთ დროებითი დამცავი გამჭვირვალე ბარიერი სატრანსპორტო საშუალების მძღოლის კაბინასთან;

დასაქმებულთა ვალდებულებები:

ხელის ჰიგიენის რეგულარულად და საფუძვლიანად შესრულება წარმოადგენს უმეტესი ვირუსისგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალებას.

შესაბამისად, აუცილებელია სამუშაო ადგილზე განახორციელოთ შემდეგი ღონისძიებები:

- დაიცავით ჰიგიენის წესები თქვენს სამუშაო ადგილზე;
- სამუშაო პროცესი განახორციელეთ დამსაქმებლის/შრომის უსაფრთხოების მენეჯერის მიერ განსაზღვრული საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმის შესაბამისად;
- მისალმებისას არ ჩამოართვათ ხელი ერთმანეთს და მოერიდეთ სხვებთან კონტაქტს (შეხებას და სხვა);
- მოერიდეთ თავშეყრას, დაიცავით რეკომენდაცია უსაფრთხო დისტანციის დაცვით (არანაკლებ 2 მ-სა);
- სამუშაოების შესრულებისას გამოიყენეთ სრულად ის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომელსაც გაწვდით დამსაქმებელი;
- სამუშაოს დაწყებისა და დამთავრებისას სადეზინფექციო საშუალებებით დაასუფთავეთ სამუშაო ადგილები და ის ხელსაწყოები, რომელსაც იყენებთ სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას;
- გამოიყენეთ სპირტის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებები იმ შემთხვევაში, თუ ვერ ახერხებთ ხელების დაბანას და გაშრობას. გახსოვდეთ, რომ ხელების დაბანა საპნითა და წყლით არის უპირატესი;
- დახველების და დაცემინების დროს მიიფარეთ სუფთა ხელსახოცი ან იდაყვი. გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცი კი გადააგდეთ ურნაში;
- მოერიდეთ ხელებით თვალებზე, ცხვირზე და პირზე შეხებას. მუშაობის პერიოდში მჭიდროდ დაიმაგრეთ თმა, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმისა და სახის შეხება.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: 15 05 116 001